გადაყვანის / ამორიცხვის პოლიტიკა:

1. პოლიტიკა გადაყვანის/ამორიცხვის პროცედურა:

- მოსწავლე, რომელიც მოითხოვს პროგრამის ცვლილებას სკოლის ფარგლებში, უნდა გაწყვიტოს უკვე არსებული ხელშეკრულება. ახალი ხელშეკრულება გაფორმდება სტანდარტული კონტრაქტის საფუძველზე. თანხის დაბრუნება ხდება სკოლისა და მეურვის შეთანხმების საფუძველზე (გაეცანით სკოლის კონტრაქტის პირობებს).
- მოსწავლე უნდა პასუხობდეს სასწავლო პროგრამის ყველა კრიტერიუმს და მისი ჩარიცხვა მოხდება მოსწავლეთა შერჩევისა და მიღების პროცედურების გავლით.

მოსწავლე, რომელიც გადადის სხვა სკოლაში ამორიცხება სკოლიდან და გაივლის თანხის დაბრუნების პროცედურას საჭიროების შემთხვევაში.

2. გადაყვანისა და ამორიცხვის პირობები:

- ყველა ტიპის დავალიანება უნდა დაიფაროს გადაყვანისა და ამორიცხვის მოთხოვნამდე.
- მოსწავლემ უნდა შეავსოს გადაყვანის / ამორიცხვის ფორმა, ასევე წარადგინოს ყველა პროცედურით გათვალისწინებული დოკუმენტი.

3. თანხის დაბრუნების პირობები:

თანხის დაბრუნების პოლიტიკა ვრცელდება ყველა შესაბამის მოთხოვნაზე. დეტალური იფორმაციისთვის გაეცანით სკოლის თანხის დაბრუნების პოლიტიკასა და სტანდარტულ კონტრაქტს.

4. გადაყვანისა და ამორიცხვის ვადები:

გადაყვანის / ამორიცხვის პროცესი, განაცხადის შევსების ჩათვლით, უნდა მოხდეს 4 კვირის ფარგლებში.

გადაყვანის / ამორიცხვის პროცედურა

1. მოსწავლემ უნდა შეავსოს გადაყვანის / ამორიცხვის მოთხოვნის ფორმა (სხვა შესაბამისი საბუთი), ამასთან წარადგინოს ნებისმიერი რელევანტური დოკუმენტი.
2. გადაყვანის მოთხოვნა განიხილება, როგორც პროგრამაზე უარი და ახალ პროგრამაზე განაცხადის შეტანა. მოსწავლე უნდა აკმაყოფილებდეს სასწავლო პროგრამაში ჩარიცხვის მოთხოვნებს.
3. 1-12 კლასის მოსწავლეებისათვის გადაყვანის / ამორიცხვის მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოსწავლეს მშობლის / მეურვის თანხმობა წერილობითი ფორმით.
4. გადაყვანის / ამორიცხვის თხოვნა დამუშავდება და განაცხადის შედეგი გადაიგზავნება მისი წარდგენიდან 4 კვირის ვადაში წერილობითი ფორმით.
5. გადაყვანის / ამორიცხვის დამტკიცებისთანავე წინა ხელშეკრულება ითვლება ბათილად.
6. თანხის დაბრუნების პოლიტიკა ვრცელდება ყველა შესაბამის მოთხოვნაზე.
7. სასკოლო პროგრამებს შორის ცვლილებისას მოსწავლეს ჩაუტარდება ტესტირება ინგლისურსა და მათემატიკაში.